

განაცხადი

სამეცნიერო ხელმძღვანელობისა და სადოქტორო კვლევითი პროექტის შესახებ
სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა: **ფილოლოგია**

1. ინფორმაცია სამეცნიერო ხელმძღვანელის შესახებ

1.1. სახელი და გვარი **ნანა ცეცხლაძე**1.2. აკადემიური/სამეცნიერო თანამდებობა ან ემერიტუსის წოდება **ასოც. პროფესორი**

1.3. ბოლო სამი წლის განმავლობაში შესაბამისი (სადოქტორო ნაშრომის ზოგადი თემატიკის) დარგის/მიმართულების Web of Science (Clarivate Analytics), Scopus და ERIH PLUS (European Reference Index of the Humanities) (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით) ბაზებში ინდექსირებულ რეფერირებად/რეცენზირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი:

სამეცნიერო ნაშრომის დასახელება	წელი	ჟურნალიტომი, გვ. ელ. მისამართი	დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	სამეცნიერო ბაზის დასახელება	თანაავტორი	შენიშვნა
კონცეპტი სინდისი ქართულსა და თურქულ ფრაზოლოგი ზმებში (ლინგვოკულ-ტუროლოგიური ანალიზი)	2023	გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ფილოლოგიური კვლევები VI.(გვ.17-33) https://kanalregister.hkd.ir.no/publiseringsskanaler/erihplus/periodical/info.action?id=505596 http://www.sciencejournals.ge/index.php/NJ/article/view/323	ISSN 2667-9612	ERIH PLUS	ხახუტაიშვილი მზია ლაგვილავა ცილა	

1.4. ბოლო ათი წლის განმავლობაში სამეცნიერო საგრანტო პროექტში ძირითადი პერსონალის სტატუსით მონაწილეობა:

სამეცნიერო პროექტის სახელწოდება	პროექტის დაწყებისა და დასრულების თარიღი	სტატუსი პროექტში	დამფინანსებელი ორგანიზაცია	ელ. მისამართი	პროექტში ჩართული პირები	შენიშვნა
ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ შესრულებული ხელნაწერების ციფრული კორპუსი. ხელ-ლი ასოც. პროფ. ხახუტაიშვილი	2023-2024	ძირითადი შემსრულებელი	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი		გრ. კახიანი, ლ. თავდგირიძე ე. მექურიძე	
ლინგვოკულტუროლოგიური დიგიტალური არქივი (DigiArchive) - ციფრული	2016-2019		შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი		მ.თანდაშვილი, მ. ხახუტაიშვილი, გრ. კახიანი	

ჰუმანიტარია ხელ-ლი პროფ. რ. ხალვაში			№DI 2016-43		რ. პაპიაშვილი, შ. ფუტყარაძე	
„ქართული პოლიტიკური ზეპირმეტყველების ლინგვოპოლიტოლოგიური ანალიზი გენდერულ ჭრილში“	2022-2024	მენტორი	შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული ფონდი, ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო პროექტი YS-22-348		თ. ცეცხლაძე მ. მჭავანაძე	
ტაო (ისტორიულ- ფილოლოგიური გამოკვლევა)“ ხელ-ლი პროფ. მამია ფაღავე.	2019-2022	მოწვეული პერსონალი	შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი. შიფრი- 217796.		მ. ბარამიძე, მ. ჩოხარაძე, თ. შიომშვილი, რ. ხალვაში, ნ. მგელაძე, ზ. შაშიკაძე, მ. ხალვაში, ჯ. ჩხვიმიანი, ჯ. კარალიძე	

1.5. სამეცნიერო ხელმძღვანელობის/თანახელმძღვანელობის გამოცდილება

უსდ-ს დასახელება	სადოქტორო საგანმანათლებ ლო პროგრამის დასახელება	სტუდენტის სახელი და გვარი	ნაშრომის სახელწოდება	წელი	შენიშვნა
ბსუ	ლინგვისტიკა	თათია ცეცხლაძე	„აკა მორჩილადის მადათოვის ციკლის მოთხრობების ენა და სტილი“	12.03.2021	
ბსუ	ლინგვისტიკა	ინდირა შალიკაძე	„ყარამანიანის ენა და სტილი“	16. 11. 2018	
ბსუ	ლინგვისტიკა	თეა ცაგურია	„სამეტყველო აქტები და სტრატეგიები ხელოვნების დისკურსში“	25. 07. 2018	
ბსუ	ლინგვისტიკა	შორენა ლორთქიფანიძე	ზურაბ გორგილადის პოეტური ენა და სტილი	16. 05. 2018	

1.6. რელევანტური ტრენინგი, სემინარი, პროფესიული განვითარების კურსი და სხვა.

N	ღონისძიების ტიპი	ღონისძიების დასახელება	ორგანიზატორი	ჩატარების თარიღი	ჩატარების ადგილი	შენიშვნა

1.7. ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან სამეცნიერო თანამშრომლობის გამოცდილება (ერთობლივი კვლევები/გრანტები/სამეცნიერო პროექტები)

ფრანკფურტის გოეთეს სახელობის უნივერსიტეტი (მონაწილეობა ერთობლივ საგრანტო პროექტში)

2. ინფორმაცია სამეცნიერო თანახელმძღვანელის შესახებ (არსებობის შემთხვევაში)

2.1. სახელი და გვარი -----

2.2. აკადემიური/სამეცნიერო თანამდებობა ან ემერიტუსის წოდება -----

2.3. ბოლო სამი წლის განმავლობაში შესაბამისი (სადოქტორო ნაშრომის ზოგადი თემატიკის) დარგის/მიმართულების Web of Science (Clarivate Analytics), Scopus და ERIH PLUS (European Reference Index of the Humanities) (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით) ბაზებში ინდექსირებულ რეფერირებად/რეცენზირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი:

სამეცნიერო ნაშრომის დასახელება	წელი	ჟურნალი, ტომი, გვერდი, ელ. მისამართი	დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	სამეცნიერო ბაზის დასახელება	თანავტორი	შენიშვნა

1.4. ბოლო ათი წლის განმავლობაში სამეცნიერო საგრანტო პროექტში ძირითადი პერსონალის სტატუსით მონაწილეობა:

სამეცნიერო პროექტის	პროექტის დაწყებისა	სტატუსი პროექტში	დამფინანსებელი	ელექტრონული	პროექტში ჩართული	შენიშვნა
---------------------	--------------------	------------------	----------------	-------------	------------------	----------

სახელწოდება	და დასრულების თარიღი		ორგანიზაცია	მისამართ ი	პირები	

3. სადოქტორო კვლევითი პროექტის მოკლე აღწერილობა

3.1. კვლევითი პროექტის დასახელება

ხატოვანი სიტყვა-თქმები აჭარულ დიალექტში (ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტები)

3.2. კვლევის სიახლე და აქტუალობა

XXI საუკუნის ლინგვისტიკაში ერთ-ერთი აქტუალური მიმართულებაა კვლევა, რომლის მიხედვითაც ენა განიხილება, როგორც ეროვნულ-კულტურული კოდი. ეთნოსის ფონური ინფორმაცია ყველაზე უკეთ შემონახულია ხატოვან სიტყვა-თქმებში. სწორედ ისინი გვიქმნიან სრულ წარმოდგენას კონკრეტული ხალხის მსოფლმხედველობის, ფასეულობებისა და ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, რადგან შეიცავენ ძვირფას ცნობებს ეთნოგრაფიული ყოფისა და ტრადიციების შესახებ და გამოხატავენ ნაციონალურ რეალიებს.

ხატოვანი სიტყვა-თქმები ამოუწურავი წყაროა ენობრივი კოლექტივის შესახებ ინფორმაციის მისაღებად. მათი ანალიზის მრავალმხრივი მიმართულებები მოიცავს სტრუქტურულ ანალიზს, ლინგვოკულტუროლოგიურ და ლინგვოპრაგმატიკულ კვლევებს, ასევე კულტურათმორის კომუნიკაციასა და თარგმნის სპეციფიკას.

ხატოვან ენობრივ ერთეულებში ასახულია როგორც მატერიალური, ისე სულიერი კულტურის ელემენტები: ყოფა, რწმენა, მორალური ფასეულობები და ტრადიციები. ისინი ერის კონცეპტუალურ სისტემას და მრავალსაუკუნოვანი კულტურული მემკვიდრეობის სახეს გამოხატავენ. მათ შორის ბევრია ლინგვოკულტურემა, ლოგოეპისტემა. საყურადღებო ასპექტებია:

I. ისტორიული, გეოგრაფიული რეალიების ასახვა ფრაზეოლოგიზმებში: მაგალითად, „ჭოროხის წყალი ვერ გარეცხავს“, „ჩაქვის წყალი ვერ გარეცხავს“, „მახოს ხიდივით აქვს ცხვირი გაშვერილი“.

II. მორალური და ზნეობრივი ღირებულებების დაცვა: მაგ., „ლეჩაქის მოხდა“, „ულვაშის მოპარსვა“ – შერცხვენა; „პირშავი“ (პირზე მურის წასმა).

III. მკურნალობის ხალხური საშუალებების ასახვა: „ყურებზე ხახვი არ დამაჭრა“;

IV. რწმენა-წარმოდგენებისა და რეალიების გადმოცემა: „ხორცისა და სულის გაყრა“, „სულის ამოსვლა“, „შაბზე/მარილზე წასვლა“ – გარდაცვალება.

V. ისტორიული რეალიების ასახვა: მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებაში გვაქვს რუსი ხომ არ მოგდევს?“, „ჩაუშის ნაჯახსავით დარჩენილია“.

VI. კულტურათმორისი ურთიერთობების გავლენა: სამხრულ კილოებში თურქულთან ინტენსიური კონტაქტის შედეგად გავრცელდა აღმოსავლური ფრაზეოლოგიზმების კალკები: „ყუსურზე დახედვა“, „სიტყვის წაქცევა“, „ქესაში ჩაგდება“, „ეზიეთის მიცემა“, „ფითის მიცემა“, „ხათრის აშენება“, „ბეზარზე მოსვლა“, „ხიშმის ჭამა.“ ეს ერთეულები ლინგვოკულტუროლოგიური და სოციოლინგვისტური კვლევებისთვის მნიშვნელოვან მასალას წარმოადგენს.

VII. სტილისტიკური ფუნქციები: სამხრულ დიალექტებში ხშირია სტილისტიკური ხერხი, სინონიმური პარალელიზმი, რომელიც მეტყველებას ექსპრესიასა და დამაჯერებლობას სძენს და ხშირად უცხო სიტყვათა პარალელურად გამოყენების მიზანს ემსახურება.

VIII. ფრაზეოლოგიზმები გვხვდება დარგობრივ ლექსიკაშიც.

ამრიგად, აჭარული დიალექტის ხატოვანი სიტყვა-თქმები მონოგრაფიულად ჯერაც შეუსწავლელია. მათი სისტემატიზაცია და სიღრმისეული კვლევა ხელს შეუწყობს როგორც სალექსიკონო რესურსების შევსებას, ისე რეეგიონის ლინგვოკულტუროლოგიურად გააზრებასაც.

3.3. კვლევის მიზნები, ამოცანები და კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის ძირითადი მიზანია აჭარული დიალექტის ხატოვანი სიტყვა-თქმების დეტალური ლექსიკოგრაფიული აღწერა და მათი ლინგვოკულტუროლოგიურ კონტექსტში გააზრება, აჭარული დიალექტის ფრაზეოლოგიაში კულტურათმორისი კონტაქტების გამოვლენა.

კვლევის ამოცანებია:

- ხატოვანი სიტყვა-თქმების აღნუსხვა, სტრუქტურული ანალიზი;
- ფრაზეოლოგიური ერთეულების დარგობრივ ლექსიკაში გამოვლენა;
- თემატური დაჯგუფება (სიკვდილი, შიში, სიყვარული) და კონცეპტების გამოკვეთა;
- ფრაზეოლოგიური ვარიანტების დაჯგუფება;
- ამ ერთეულებში ეროვნული ცნობიერებისა და კულტურული ფასეულობების, ისტორიულ-ეთნოგრაფიული და ფოლკლორული ძირების იდენტიფიცირება;
- კულტურათმორისი კონტაქტის შედეგად გაჩენილი ფრაზეოლოგიური კალკების გამოვლენა და ანალიზი;
- აჭარული დიალექტის ხატოვანი ენობრივი ერთეულების ლექსიკოგრაფიული ბაზის შექმნის დაგეგმვა.

კვლევის მეთოდოლოგია

მეცნიერული ანალიზი ეფუძნება ლინგვისტური, ლინგვოკულტუროლოგიური, კომპარატიული, სტრუქტურული და სტილისტიკური ანალიზის მეთოდებს. ლინგვოკულტუროლოგიური მიდგომა იძლევა შესაძლებლობას, გვიჩვენოს ენაში ასახული კულტურა; კომპარატიული ანალიზი გამოიყენება სხვა კულტურებიდან შემოსული ფრაზეოლოგიზმების იდენტიფიცირებისა და მათი ფუნქციების შესაფასებლად. სტრუქტურული ანალიზი გულისხმობს კომპონენტებად დაყოფას, ფრაზეოლოგიური ვარიანტების დაძებნას.

დასახელებული მეთოდები შეესაბამება კვლევის ობიექტის კომპლექსურ ბუნებას. ფრაზეოლოგიზმები წარმოადგენს ლინგვისტური, კულტუროლოგიური, ისტორიულ-სოციალური მნიშვნელობის მატარებელ ერთეულებს, რომელთა გააზრებაც ინტერდისციპლინურ მიდგომას საჭიროებს.

სამეცნიერო ხელმძღვანელის ხელმოწერა

სამეცნიერო თანახელმძღვანელის ხელმოწერა